მარიამ გოდუაძე

ნიკალას ირმები

აუდიოაღწერებითურთ

ისიც ნიკალაა და სანტა კლაუსი არ გეგონოთ, ამ წერილს ნიკო ფიროსმანის ირმებს ვუძღვნი, მგონია, რომ თავადაც მათ ემსგავსებოდა, სათნო, კეთილი, ბოროტის ვერმგუე, პატიოსანი. ისე კი, ეს წერილი ატენის სიონის კარიბჭის კამარაში ჩასმულმა ბარელიეფმა შთამაგონა.

1. ატენის სიონის ბარელიეფი

აქ ირმები წყაროს დასწაფებიან, ისევე, როგორც ფიროსმანის ნამუშევრებზე, მაგრამ ხელოვნებათმცოდნე რუსო მერაბიშვილი მეუბნება და არ შემიძლია, არ დავეთანხმო: ნაკლებსავარაუდოა, ვიზუალური ხელოვნების ამ ნიმუშებს შორის პირდაპირი კავშირი არსებობდეს. არც თეოლოგიური ქვეტექსტებია საძიებელი. ნიკალას ირმები უყვარდა. ვაჟას „შვლის ნუკრის ნაამბობიც“ ჰქონია წაკითხული, უტირია კიდეც ადამიანების სისასტიკის გამო. ის სცენაც დახატა და წააშლევინესო. ირემს სილამაზის, სიმშვიდის, ნდობის სიმბოლოდ აღიქვამდა და ხატავდა მუშამბაზე, მუყაოზე, ნებისმიერ მასალაზე, რაც კი ხელში ჩაუვარდებოდა.

მის მიერ დახატული ირმები თბილისის, ქუთაისის, სიღნაღის, მოსკოვის სახელმწიფო გალერეებსა თუ კერძო კოლექციებს ამშვენებენ მოღერილი ყელ-კისრით, ქორბუდა რქებით, ფაფუკი ქათიბებით, ზოგი - თამამი მზერით, ზოგი -

მწყურვალი, ზოგი - ფრთხილი, ზოგი - მშიერი, ზოგი - თავისუფალი, ზოგი - ოჯახური მზრუნველობითა და პასუხისმგებლობით აღსავსე, ზოგიც - ქედმოდრეკილი, მაგრამ შეუჩერებელი, როგორც, მაგალითად, ამ ბარელიეფზე.

მინდა, ეს წერილი ნიკო ფიროსმანის ირმების აუდიოაღწერებს და იმ ადამიანებს მივუძღვნა, რომლებსაც მხედველობის დეფიციტი აქვთ და ამ ნახატების დანახვა არა, მაგრამ შეგრძნება შეუძლიათ.

2. **ირემი (მდოგვისფერ სიბრტყეზე)**



აუდიოაღწერა: *ნახატი ჰორიზონტალურია, მის წინა მხარეს ცენტრალურ ნაწილს თითქმის სრულიად მოიცავს მიმავალი ხარირმის გამოსახულება არც ისე დიდი რქებით. თავი მარცხნივ აქვს, ანფასში. მზერა ირიბია, დამკვირვებლური. აქვს გრძელი, წვრილი და ძლიერი ფეხები, მოკლე კუდი, დიდი და მოძრავი ყურები, თითქოს რაღაცას გაფაციცებით უსმენს. თვალები შავი და მწველია, სხეული - აგურისფერი, რუხი, მონარინჯრისფრო მონასმებით, რომლებიც განსაკუთრებით ჭარბობს რქებში. სხეულის კონტურები ძირითადად რძისფერია და ემიჯნება საერთო ფონს, რომლის ზედა მხარეს, სურათის 2/3-ზე, დომინანტობს შავი და იშლება მუქ*

მწვანე გარდამავალ ტონად სიბრტყესთან, რომლის უმთავრესი ნაწილი ყვითელი და მდოგვისფერია, ნაწილს კი ირმის მომწვანო ჩრდილი ეფინება.

3. ირმების ოჯახი



აუდიოაღწერა: *სურათი თარაზულია. მის სიბრტყეს ქმნის ჩანჩქერი, რომელიც შემოსაზღვრულია კლდით. უკანა ნაწილში წყალს ეწაფება დედა ირემი. მის მარცხნივ ნუკრია, მარჯვნივ - ქორბუდა მამრი ყელზე დაფენილი ფაფუკი, მოყავისფრო თმით და შემართული, ირიბი, თუმცა მოდარაჯე მზერით, შავი თვალებით. უკანა ტანი შემაღლებული აქვს. დგანან წყალში. მათ უკან მოლურჯო, მუქი მწვანე კლდეებია. რძისფერი ტონები მეორდება მათი სხეულის კონტურებში, ყურებისა და პირის გარშემო, მუცლის არეში, წყალში. ირმების სხეული ძირითადად აგურისფერია, მოლურჯო რუხი ჩრდილებით.*

4. სამი ირემი წყაროსთან



აუდიოაღწერა: *ნახატი შვეულია. მის წინა მხარეს მოვარდისფრო ირმების ოჯახია გამოსახული. ცენტრში, წინა მხარეს, ფურია. ის წინა ფეხებით წყალში ჩამდგარა და წყალს დასწაფებია, ნუკრი - მარცხნივ, ქორბუდა ხარირემი კი მარჯვნივ ამოუყენებია. ხარი წითელი ენით თითქოს ზურგზე ეხება. თავები ირიბად, ანფასში უჭირავთ, თუმცა მზერა პირდაპირია. მათ უკან ფონად ფოთლები და მოშავო, ბადრიჯნისფერი მიწაა, ზედა მარცხენა კუთხეში კი ხის ძირი მოჩანს. ირმების სხეულზეც ჩრდილები მობადრიჯნისფროა. მამრს მომწვანოც დაჰკრავს. მისი მარცხენა თვალის ზემოთ პატარა წითელი ლაქა შეიმჩნევა.*

ნიკო ფიროსმანის სხვა ირმებიც აქვე არიან. მათ Alt Text-ით ერთვით მცირე აღწერები.

5. ირემი

აუდიოაღწერა: *ნახატი თარაზულია. აგურისფერი ფურირემი წინა ფეხებით წყალში ჩამდგარა და წყურვილს იკლავს. მისი მზერა პირდაპირია, თვალები - შავი, ყურები - დაცქვეტილი, სხეულის კონტურები - სქელი, სპილოსძვლისფერი. ფონი შავია, მუქი მწვანე ფოთლებით ოდნავ დაფერილი. სიბრტყის მარცხენა კუთხეს მომწვანო-მოყავისფრო შუქი დაჰკრავს.*

6. **თავაღერებით მიმავალი ირემი**



აუდიოაღწერა: *ნახატი თარაზულია. მოწითალო, თავაღერილი ირემი ყლორტებს შეექცევა. მისი სხეულის კონტურები მოვარდისფროა. თავი ირიბად უჭირავს, თუმცა მზერა პირდაპირია. თვალები და ჩლიქები შავი აქვს. დგას მომწვანო მდელოზე, მუქ მწვანე ბალახში. ნახატის წინა მარცხენა მხარეს, ირმის წინა ფეხთან, ხმელი ტოტებია.*

7. ირმები და გაზაფხული



აუდიოაღწერა: *ნახატი თარაზულია. მუქი აგურისფერი ფურირემი წყალს ეწაფება. მარჯვნივ ნუკრი უდგას. მათი სხეულის კონტურები მკრთალია. მოვარდისფროა მუცელიც. ჩლიქები - შავი. თავი ირიბად უჭრავთ. დედის მზერა პირდაპირია. დგას მომწვანო მდელოზე, მუქ მწვანე ბალახში. წინა ფეხებით წყალში ჩამდგარა. ნუკრი ნაპირზე დგას და დედას უცქერის. ნახატის წინა მხარეს, სიბრტყედ, რძისფერ-მოვარდისფრო წყალია, რომელსაც ფურირმის ჩრდილი ეცემა.*

8. ბრინჯაოსფერი ხარირემი ცელადონისა და რძისფერ ფონზე



აუდიოაღწერა: მისი რქები ოქროსფერია, ყურები - თეთრი, მზერა - შიშნარევი და მარჯვნივ მიმართული.

9. ირემი პეიზაჟის ფონზე



1913 წ. მუყაო, ზეთი, 98x71 სმ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი.

10. ხარირემი



„იმა მთაზედა“ ხომ გახსოვთ, ხალხური ბალადა - ირემზე მონადირე სასიძოს სიმამრი რომ განგმირავს და მერე შვილს რომ მიმართავს, შენ რა გატირებს, თავს ნუ მოიკლავო?

ფიროსმანის ირმებს მეც ავუტირებივარ, მათთან პირისპირ დარჩენილი. საინტერესოა, რა განცდა გასჩენიათ ან გაუჩნდებათ თქვენს შვილებს ან მოსწავლეებს, რომლებიც ხედავენ ან ვერა, თუმცა ამ ან მსგავსი აუდიოაღწერებით წარმოდგენა აუცილებლად შეექმნებათ.